დავით ხოგელია

სასამართლო კონსტიტუციური კონტროლი, როგორც კონსტიტუციური კონტროლის სახეობა

დავით ხოგელია
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სასამართლო კონსტიტუციიური კონტროლი არის კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება სასამართლო ორგანოების მიერ. არსებობს სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის 2 სახე. 1. კონტროლი განხორციელებული საერთო სასამართლოების მიერ და 2. კონტროლი, რომელიც ხორციელდება სპეციალური სასამართლოს მიერ.

სასამართლო საკონსტიტუციუო კონტროლი განხორციელებული საერთო სასამართლოების მიერ ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, კერძოდ საერთო სასამართლოების კონტროლის ობიექტების კონსტიტუციონალურობის შემოწმებას ახორციელებენ კონკრეტული საქმის განხილვისას ჩვეულებრივი პროცედურით, უზენაესი სასამართლოს მეშვეობით მათი სპეციალიზირებული პალატების სპეციალურ პროცედურათა გამოყენებით. არგენტინაში, ნორვეგიაში და სხვ. საერთო სასამართლობის ნებისმიერი რგოლის სასამართლოს შეუძლია კანონი სცნოს არაკონსტიტუციურად და თუ სასამართლოს საეთო გადაწყვეტილება გასაჩივრების გზით მივა უზენაეს სასამართლომდე და ისიც სცნობს კანონს არაკონსტიტუციურად ამ შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება შედის ძალაში და სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის. ავსტრალიაში, ინდოეთსა და მალტაში კანონის კონსტიტუციურობის განხილვის უფლება აქვს უზენაეს სასამართლოს, ქვედა რგოლის სასამართლოებს არ გააჩნით უფლება განიხილონ კონსტიტუციურობის საკითხი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით ისინი საქმეს გადაუგზავნიან უზენაეს სასამართლოს. აქვე აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მის ავტომატურ გაუქმებას, სანამ პარლამენტი მას არ გააუქმებს, მაგრამ მისი მოქმედება ბლოკირებულია სასამართლოების მიერ. არც ერთი სასამართლო არ გამოიყენებს მას, ამრიგად ასეთი კანონი კარგავს სასამართლო დაცვას, ფაქტობრივად კარგავს იურიდიულ ძალას და როგორც წესი, პარლამენტი აუქმებს ასთ კანონს. ზოგიერთ სახელმწიფოში იქმნება სპეციალიზირებული პალატები და კოლეგიები მაგ. კოსტა-რიკის უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური პალატა, ესტონეთის ეროვნული სასამართლოს საკონსტიტუციუო კოლეგია.

სასამართლო ორგანოების მიერ კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე სახის თავისებურება ისაა, რომ კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავენ სპეციალიზირებული საკონსტიტუციო სასამართლოები. მათ აქვთ სპეციალური იურისდიქცია, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელი სამართალწარმოების მეშვეობით. კონსტიტუციური იურისდიქცია და შესაბამისი სამართალწარმოება შეადგენს საკონსტიტუციო იუსტიცია ანუ კონსტიტუციური მართლმსაჯულებას. სპეციალური საკონსტიტუციიო სასამართლოს მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა მისი მოქმედების შეწყვეტას, ფაქტობრივად, მის გაუქმებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში პარლამენტის მიერ რაიმე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება არ არის საჭირო.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა მისი მოქმედების შეწყვეტას, ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის მხრიდან რაიმე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება კანონის გაუქმების თვალსაზრისით საჭირო არ არის.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება თავისი არსით ორი საწყისის საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების ფორმის სინთეზს წარმოადგენს. კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას, როგორც მართლმსაჯულების ნაირსახეობას, აქვს შემდეგი ძირითადი ნიშნები: საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

სასამართლო ორგანოს სახით, სასამართლოთა ავტონომიურობა და იერარქიულობა; დამოუკიდებელი პროცესუალური ფორმა; კონსტიტუციური მართლმსაჯულების გადაწყვეტილებათა იურიდიული ძალა, მათი კონსტიტუციის ძალასთან გათანაბრება; კანონმდებლობის განსაკუთრებული სისტემა; ამგვარად კონსტიტუციური მართლმსაჯულება კონსტიტუციური კონტროლის უმაღლესი ფორმაა. როგორც წესი, ასეთი ფორმები ატარებენ სხვადასხვა ხასითას, შემდგომი ანუ რეპრესიული კონტროლი, დამწესებელი, სავალდებულო, აბსტრაქტული და კონკრეტული, მატერიალური და ფორმალური კონტროლი. ხალხის მმართველობა (სახალხო მმართველობა) შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ხერხითა თუ საშუალებით, უშუალოდ (არჩევნები, რეფერენდუმი), სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ხალხის ნების უმაღლეს გამოვლინება არის რეფერენდუმი და თავისუფელი არჩევნები. სამართლებრივ სახელმწიფოში მმართველობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების გზით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით. სასამართლო არის ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, რომლის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ საკონსტიტუციო სასამართლო, მაგრამ მას აქვს განასაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი. როდესაც ვახასიათებთ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ხელისუფლების განმახორციელებელ დამოუკიდებელ ორგანოს, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისი კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია. საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მიიღება საქართველოს სახელით, მათ აქვთ შესასრულებლად სავალდებულო ძალა, მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მათი დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ახალი კონსტიტუციის მიღებით ან მომქმედში ახალი ცვლილების შეტანით. საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების გზით შუძლია გავლენა მოახდინოს მმართველობის ორგანოების საქმიანობაზე, უპირველეს ყოვლისა, ნორმათშემოქმედების სფეროში, იმ ნორმათა გაუქმების გზით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, საკანონმდებლო ინიციატივის საშუალებით, კონსტიტუციის განმარტებით, აღნიშნული განმარტება ატარებს სავალდებულო ხასითს.

საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეული თვალსაზრისით ნორმათშემოქმედებით არის დაკავებული, იგი განსაზღვრავს კანონმდებლობის განვითარების გზებს, კონსტიტუციის განმარტების გზით ქმნის პრეცედენტს. ამდენად აღნიშნული სასამართლო ბევრად მეტს აკეთებს, ვიდრე კონსტიტუციის უბრალო განმარტება, იგი ერთდროულად ქმნის და ანვითარებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოქტრინას. შეიძლება ითქვას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი საქმიანობიდან გამომდნარე არის გარკვეული კომპრომისის ორგანო, კონსტიტუციური ღირებულებების და პოლიტიკური მშვიდობის დაცვის გარანტი. დასავლეთის მრავალი იურისტი საკონსტიტუციო სასამართლოს როლს განსაზღვრავს პოლიტიკური კონფლიქტების მედიატორის ფუნქციით.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის ბუნების პოლიტიკურ-სამართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება განვიხილოთ დამოუკიდებლად საერთო სასამართლოების სისტემიდან განცალკევებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების თავისებურება ისაა, რომ კონტროლი ხორციელდება სპეციალური სასამართლო ორგანოს მიერ სპეციალიზირებული წარმოების ფორმით. საკონსტიტუციო სასამართლო არის მართლმსაჯულების ორგანო, რომელსაც უმაღლესი ადგილი უკავია სასამართლო სისტემაში და ეს ადგილი განისაზღვრება არა იერარქიული დაქვემდებარებით, არამედ მისი კომპეტენციიდან გამომდინარე.

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ვიცით, არ განიხილავს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლის საქმეებს, აღნიშნული საერთო სასამართლოების კომპეტენციას წარმოადგენს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებლოა საერთო სასამართლოების ორგანოებისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი და ძირეული პრინციპი არის მისი დამოუკიდებლობა. იგი ფინანსურად არ არის დამოკიდებული, რომელიმე სახელმწიფო ორგანოზე. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებლობა არსებობს მის საქმიანობის შესაბამის სფეროში და განპირობებულია სპეციალური პირობებით, საშუალებებით და გარანტიებით. იგი დამოუკიდებლად ახდენს საკადრო და საინფორმაციო უზრუნველყოფას, დამოუკიდებლად ახდენს ბიუჯეტიდან გამოყო-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ფილი თანხების განკარგვას. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს დამოუკიდებლად, იგი შეიძლება იყოს მოსარჩლე და მოპასუხე საერთო სასამართლოებში. საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთრებაში, შესაძლოა, იმყოფებოდეს გარკვეული საკუთრება, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განხორციელებისათვის. დაუშვებელია კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და სხვა პირობების დარღვევა ან/და ხელყოფა. აღნიშნული უფლებების ხელყოფას მოყვება სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

პოსტტოტალიტარულ სახელმწიფოთა პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული პირობების რეალური განხორციელება, როგორც წესი, ასეთი პრობლემა არ არის გამოწვეული სამართლებრივი საფუძვლით, არამედ უფრო დაკავშირებულია წინა ტოტალიტარული რეჟიმის სტერეოტიპებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხობრიობა, როგორც წესი, განსაზღვრულია კონსტიტუციით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მერყეობს 4-დან (ანდორა) 19-მდე (რუსეთი); მათი რიცხვი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია მოლდოვაში-6; რუმინეთში, სომხეთში, საქართველოში 9, ბელგიაში, ხორვატიაში, ესპანეთში-12; უნგრეთში, იტალიაში, ჩეხეთში-15; უკრაინაში-18.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობა კონსტიტუციის მიხედვით განისაზღვრება 9 მოსამართლით და მის დაკომპლექტებაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება). მსოფლიოში არსებობს სასამართლოს ფორმირების რამდენიმე წესი მაგ. 1. ფორმირებაში მონაწილეობს სამივე შტო; 2. ორი შტო აღმასრულებელი და საკანონმდებლო; 3. ერთი შტო საკანონმდებლო ან აღმასრულებელი.

ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს სასამართლოს ფორმირებაში საქართველოში, ესპანეთში, იტალიაში და ა.შ. ალბანეთის, ავსტრიის, ანდორის, კანადის საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირებაში მონაწილეობს ორი შტო. გერმანიის, ლიტვის, შვედეთის საკონსტიტუციო სასამართლო ფორმირდება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

მსოფლიოში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა მოდელი, სტრუქტურისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით. მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა სულ უფრო ხშირად ვლინდება საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტრის მსგავსების ტენდენცია, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრინციპების ერთიანობით.

შეიძლება გამოვყოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ორი ძირითადი მოდელი. პირველი მოდელი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და გადაწყვეტილებათა გამოტანას სასამართლოს მთლიანი შემადგენლობით, როგორც ერთიანი სასამართლო კოლეგია. მეორე მოდელი გულისხმობს, რომ სასამართლო შედგება სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან პალატა, კოლეგია, სექცია, სენატი.

კოლეგიათა არსებობა სასამართლო სტრუქტურაში ზრდის მის ოპერატიულობას, საქმეთა განხილვის პროცესში. პლენარული სხდომები წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წამყვან ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სრული შემადგენლობით განიხილავს განსაკუთრებით რთულ საქმეებს, კოლეგიები ვალდებულნი არიან ასეთი საქმეები გადასცენ პლენუმს.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა ითვალისწინებს კოლეგიის არსებობას ამ შემთხვევაში მათი საქმიანობა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას. ყოველი კოლეგია გამოდის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო. პლენარულ სხდომებსა და კოლეგიებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები თანაბარი ძალის მქონეა, ისინი წარმოადგენენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

კოლეგიათა არსებობა არ აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური მართლმსაჯულების ერთიანი ორგანოს სტატუსს. კოლეგიათა სხდომები და პლენარული სხდომები საკონსტიტუციო სასამართლოს ერთიანი კომპეტენციის განხორციელებას წარმოადგენს. როგორც წესი, სასამართლოს კოლეგიები თანაბარი ძალით სარგებლობენ. ხშირ შემთხვევაში კოლეგიებს საქმის მომზადების მიზნით შუძლიათ შექმნან სექციები დამხმარე ქვეგანყოფილებები.

ერთიანი კოლეგიით (პლენუმით) საქმეს განიხილავს ავსტრიის, იტალიის და ა.შ საკონსტიტუციო სასამართლოები. საქართველოს, გერმანიის, ესპანეთის, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებენ, როგორც სრული შემადგენლობით პლენარული სხდომაზე ასევე კოლეგიებით.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად ასახელებენ, კანონმდებლობის განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც აწესრიგებს სამართალწარმოების შესაბამის ფორმას. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა და ფუნქციონირება ობიექტურად იწვევს სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობას. ასეთი კანონი კონსტიტუციურიო ნორმის კონკრეტიზაციას, შევსებას და განვრცობას ახდენს.

სასამართლოს მიერ ნორმათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის კონტროლი კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. იგი არსებობს მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში რა თქმა უნდა კონკრეტული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი თავისებურებებითა და განსხვავებებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი 2010.
2. Constitutional Justice and the Concept of Law Publisher: Cambridge University 2008.
3. Н. В. Витрук Конституционное правосудие 2010

СУДЕБНЫЙ КОНСТИТУЦИОННЫЙ КОНТРОЛЬ КАК РАЗНОВИДНОСТЬ КОНСТИТУЦИОННОГО КОНТРОЛЬ

ДАВИД ХОБЕЛИЯ - доктор права, профессор

Судебно конституционный контроль является проверкой соответствия законов с конституцией судебними органами. Проверка судебными органами соответсвия нормативных актов с конституцыей является одной из важнеиших форм конституционного контроля. В свою очередь синтез конституционного контроля и правосудия является конституционным правосудием.

JUDICIAL CONSTITUTIONAL REVIEW AS A FORM OF CONSTITUTIONAL REVIEW

DAVIT KHOBELIA - Doctor of Law, Associate Professor

Judicial constitutional review is a test of the conformity of laws with the constitution of the judiciary. Verification of conformance judicial legislation with the constitution is an important form of constitutional review. In turn, the synthesis of constitutional review and constitutional justice is constitutional justice.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com